

ავტობიოგრაფია

მე, გიორგი გვენეტაძე, დავიბადე 1971 წლის 15 აგვისტოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთში.

1978-1988 წლებში ვსწავლობდი ამავე სოფლის დავით კლდიაშვილის სახელობის საშუალო სკოლაში.

1989 წელს გამიწვიეს საბჭოთა კავშირის შეირაღებულ ძალებში, საიდანაც დავბრუნდი 1991 წელს და იმავე წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე 1996 წელს სამართლმცოდნის კვალიფიკაციით.

1996 წლის სექტემბრიდან მუშაობა დავიწყე იმერეთის სამხარეო პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებლად, საიდანაც 1998 წლის მარტში სამუშაოდ გადავედი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ოპერატიულ და ანალიტიკურ სამსახურებში სხვადასხვა თანამდებობაზე.

2004-2005 წლებში ვიმუშავე საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატში ჯერ წამყვან სპეციალისტად, შემდეგ - მთავარ სპეციალისტად.

2005 წელს ჩავაბარე მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები, მონაწილეობა მივიღე გამოცხადებულ კონკურსში და 2005 წლის სექტემბრიდან დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.

2007 წლის ოქტომბრიდან პირადი განცხადების საფუძველზე გავთავისუფლდი აღნიშნული თანამდებობიდან.

2008-2009 წლებში ვმუშაობდი საქართველოს კონტროლის პალატის სპეციალური სარევიზიო დეპარტამენტის/სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტის უფროსად, საიდანაც გავთავისუფლდი პირადი განცხადების საფუძველზე.

2010-2012 წლებში ვუწევდი იურიდიულ დახმარებას სს „კორ სტანდარტ ბანკს“ (ამჟამად სს „ტერა ბანკი“), ხოლო 2013-2017 წლებში - სს „საქართველოს ბანკს“.

2018 წლის სექტემბრიდან დღემდე ვმუშაობ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად.

2007 წლიდან დღემდე ვარ ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი (2012 წლიდან საერთო სპეციალიზაციით) და ვეწევი აქტიურ საადვოკატო პრაქტიკას - უმეტესწილად ადმინისტრაციული (საგადასახადო) და სამოქალაქო (საბანკო, სამეწარმეო, გადახდისუუნარობის) საქმეების მიმართულებით.

1997 წლიდან დღემდე, ძირითადი საქმიანობის პარალელურად ვსაქმიანობ, როგორც სამართლის ლექტორი/ტრენერი უმეტესწილად ადმინისტრაციულ სამართალში (ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, ადმინისტრაციული პროცესი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, სააღსრულებო წარმოებები, სახელმწიფო სოციალური დაცვის სამართალი, ასევე: სამოქალაქო პროცესი და სამეწარმეო სამართალი).

მათ შორის, 2005-2010 წლებში ვიყავი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის ტრენერი.

2011 წლიდან დღემდე ვარ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ტრენერი ადმინისტრაციულ სამართალში.

გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე ანალიტიკური სტატია.

ნასამართლევი ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში ნამყოფი არა ვარ.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.